

ქ. თბილისი

2025 წლის 18 სექტემბერი

ეკოპეტროლი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2024 წელი

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში.....	3
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა.....	4-6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	11-30
მმართველობით ანგარიშგება -----	31-38

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ეკოპეტროლი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის („მს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პრინციპების და პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მს ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიაში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 18 სექტემბრის .

დირექტორი

მალხაზ საღირაშვილი

2025 წლის 18 სექტემბერი

მთავარი ბუღალტერი

ანნა მაკაროვა

2025 წლის 18 სექტემბერი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ეკოპეტროლი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პრინციპების და პოლიტიკის არჩევისა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიაში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 18 სექტემბერს.

დირექტორი

მალხაზ საღირაშვილი

2025 წლის 18 სექტემბერი



მთავარი ბუღალტერი

ანნა მაკაროვა

2025 წლის 18 სექტემბერი





დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ეკოპეტროლი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ეკოპეტროლი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების(ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისაგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს(ბესს)“, „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“(IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 517895ლარი 2024წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის და ამ თარიღისათვის კომპანიის მოკლევადიანმა ვალდებულებებმა მთლიან აქტივებს 1532371ლარით გადააჭარბა. როგორც მე-2 შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად „სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიში მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით მმართველობით ანგარიშზე.

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „მმართველობითი ანგარიშგება“-ის წარდგენაზე. „მმართველობითი ანგარიშგება“ მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ „მმართველობით ანგარიშგება“-ს და განვიხილოთ, არის თუ არა



მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გაგვაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და შეიცავს კანონით მოითხოვნილ სრულ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონიერულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით



- გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
 - ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
 - ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
 - დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
 - ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.
- დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ნუნუ ფაცაცია (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-516755)

შპს ბესტ აუდიტი -ს სახელით
თბილისი, საქართველო

18 სექტემბერი 2025 წელი



- გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ნუნუ ფაცაცია (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-516755)

შპს ბესტ აუდიტი -ს სახელით
თბილისი, საქართველო

18 სექტემბერი 2025 წელი

ბ. ფ.

შპს ეკოპეტროლი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	1 770 962	1 590 532	1 762 350
არამატერიალური აქტივები	4	1 107 516	1 578 140	675 758
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 878 478	3 168 673	2 438 108
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	366 215	369 033	359 170
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	556 442	923 451	1 130 731
მარაგები	7	1 347 678	1 405 520	4 619 071
გაცემული სესხები		30 743	10 440	-
საგადასახადო აქტივები		-	-	96 741
მისაღები პროცენტები		9 295	9 295	19 295
სულ მოკლევადიანი აქტივები		2 310 373	2 717 740	6 225 008
მთლიანი აქტივები		5 188 851	5 886 412	8 663 115
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1 000	1 000	1 000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(162 853)	355 042	1 477 347
სულ კაპიტალი		(161 853)	356 042	1 478 347
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		42 102	40 341	-
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	8	1 165 162	1 570 137	659 946
ანარიცხები		(1 469)	784	10 056
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		302 166	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 507 961	1 611 262	670 002
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	9	1 100 000	10 895	131 093
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	2 615 035	3 833 914	6 375 734
ფინანსური იჯარის ვალდებულების მიმდინარე ნაწილი		6 158	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		119 719	73 056	-
გადასახდელი პროცენტი		1 831	1 243	7 940
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3 842 743	3 919 108	6 514 766
მთლიანი ვალდებულებები		5 350 704	5 530 371	7 184 768
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		5 188 851	5 886 412	8 663 115

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 18 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

მალხაზ საღირაშვილი

ანნა მაკაროვა

2025 წლის 18 სექტემბერი

2025 წლის 18 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

შპს ეკოპეტროლი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	1 770 962	1 590 632	1 762 350
არამატერიალური აქტივები	4	1 107 516	1 578 140	675 758
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 878 478	3 168 673	2 438 108
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	366 215	369 033	359 170
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	556 442	923 451	1 130 731
მარაგები	7	1 347 678	1 405 520	4 619 071
გაცემული სესხები		30 743	10 440	-
საგადასახადო აქტივები		-	-	96 741
მისაღები პროცენტები		9 295	9 295	19 295
სულ მოკლევადიანი აქტივები		2 310 373	2 717 740	6 225 008
მთლიანი აქტივები		5 188 851	5 886 412	8 663 115
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1 000	1 000	1 000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(162 853)	355 042	1 477 347
სულ კაპიტალი		(161 853)	356 042	1 478 347
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		42 102	40 341	-
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	8	1 165 162	1 570 137	659 946
ანარიცხები		(1 469)	784	10 056
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		302 166	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 507 961	1 611 262	670 002
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	9	1 100 000	10 895	131 093
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	2 615 035	3 833 914	6 375 734
ფინანსური იჯარის ვალდებულების მიმდინარე ნაწილი		6 158	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		119 719	73 056	-
გადასახდელი პროცენტი		1 831	1 243	7 940
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3 842 743	3 919 108	6 514 766
მთლიანი ვალდებულებები		5 350 704	5 530 371	7 184 768
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		5 188 851	5 886 412	8 663 115


გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 18 სექტემბერს.

დირექტორი

მალხაზ საღირაშვილი

2025 წლის 18 სექტემბერი


თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი

ანა მაკაროვა

2025 წლის 18 სექტემბერი



შპს „ეკოპეტროლი“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	11	55 374 375	51 604 522
თვითღირებულება	12	(54 328 575)	(51 912 242)
საერთო მოგება		1 045 800	(307 720)
სხვა შემოსავლები		6 762	22 400
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	13	(915 576)	(765 103)
მიწოდების დანახარჯები	14	-	(35)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		(19 082)	9 489
სხვა ხარჯები	15	(508 825)	(22 703)
საოპერაციო მოგება		(390 922)	(1 063 672)
ფინანსური შემოსავალი	16	16 889	159
ფინანსური ხარჯი	17	(142 201)	(58 368)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(125 311)	(58 208)
მოგება დაბეგრამდე		(516 233)	(1 121 880)
მოგების გადასახადი		(1 661)	(425)
სულ წლიური ზარალი		(517 895)	(1 122 305)
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(517 895)	(1 122 305)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და შენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 18 სექტემბერს.

დირექტორი
მალხაზ საღირაშვილი
2025 წლის 18 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
ანნა მაკაროვა
2025 წლის 18 სექტემბერი

შპს „ეკოპეტროლი“
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	11	55 374 375	51 604 522
თვითღირებულება	12	(54 328 575)	(51 912 242)
საერთო მოგება		1 045 800	(307 720)
სხვა შემოსავლები		6 762	22 400
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	13	(915 576)	(765 103)
მიწოდების დანახარჯები	14	-	(35)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		(19 082)	9 489
სხვა ხარჯები	15	(508 825)	(22 703)
საოპერაციო მოგება		(390 922)	(1 063 672)
ფინანსური შემოსავალი	16	16 889	159
ფინანსური ხარჯი	17	(142 201)	(58 368)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(125 311)	(58 208)
მოგება დაბეგვრამდე		(516 233)	(1 121 880)
მოგების გადასახადი		(1 661)	(425)
სულ წლიური ზარალი		(517 895)	(1 122 305)
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,			
გადასახადების გამოკლებით			
მთლიანი სრული შემოსავალი		(517 895)	(1 122 305)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და შენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 18 სექტემბერს.

დირექტორი

მალხაზ საღირაშვილი

2025 წლის 18 სექტემბერი

თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი

ანნა მაკაროვა

2025 წლის 18 სექტემბერი



	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	მთლიანი კაპიტალი
2022წლის 31 დეკემბერი	1 000	1 477 346	1 478 346
სულ წლიური ზარალი	-	(1 122 305)	(1 122 305)
2023წლის 31 დეკემბერი	1 000	355 041	356 041
სულ წლიური ზარალი	-	(517 895)	(517 895)
2024წლის 31 დეკემბერი	1 000	(162 853)	(161 853)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 18 სექტემბერს

დირექტორი

მალხაზ სადირაშვილი

2025 წლის 18 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

ანნა მაკაროვა

2025 წლის 18 სექტემბერი

შპს „ეკოპეტროლი“

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	1 000	1 477 346	1 478 346
სულ წლიური ზარალი	-	(1 122 305)	(1 122 305)
2023 წლის 31 დეკემბერი	1 000	355 041	356 041
სულ წლიური ზარალი	-	(517 895)	(517 895)
2024 წლის 31 დეკემბერი	1 000	(162 853)	(161 853)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 18 სექტემბერს

დირექტორი
მალხაზ საღირაშვილი
2025 წლის 18 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი
ანნა მაკაროვა
2025 წლის 18 სექტემბერი



ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქართულ ლარში

	31.12.2024	31.12.2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	(517 895)	(1 122 305)
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:	432 264	303 926
- გადასახადები	(1 661)	(425)
- ცვეთა	397 477	362 343
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	60 452	-
- ანარიცხები	(2 253)	(9 272)
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	(19 082)	9 489
- წმინდა ფინანსური ხარჯი	(2 669)	(58 208)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	(445 199)	1 140 084
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	367 009	207 279
- მარაგები	57 842	3 213 551
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(916 713)	(2 353 802)
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	46 663	73 056
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	(530 830)	321 705
- მიღებული პროცენტი		(10 000)
- გადახდილი პროცენტები	588	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(530 242)	311 705
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(571 739.8)	(219 914)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(571 740)	(219 914)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
- სასესხო ვალდებულების ზრდა	1 090 866	(79 857)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	1 090 866	(79 857)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	(11 116)	11 935
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი	369 033	359 170
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	8297	(2 071)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	366 215	369 033

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 18 სექტემბერს.

დირექტორი

მალხაზ საღირაშვილი

2025 წლის 18 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

ანნა მაკაროვა

2025 წლის 18 სექტემბერი

	31.12.2024	31.12.2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	(517 895)	(1 122 305)
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:	432 264	303 926
- გადასახადები	(1 661)	(425)
- ცვთა	397 477	362 343
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	60 452	-
- ანარიცხები	(2 253)	(9 272)
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	(19 082)	9 489
- წმინდა ფინანსური ხარჯი	(2 669)	(58 208)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	(445 199)	1 140 084
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	367 009	207 279
- მარაგები	57 842	3 213 551
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(916 713)	(2 353 802)
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	46 663	73 056
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	(530 830)	321 705
- მიღებული პროცენტი		(10 000)
- გადახდილი პროცენტები	588	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(530 242)	311 705
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(571 739.8)	(219 914)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(571 740)	(219 914)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
- სასესხო ვალდებულების ზრდა	1 090 866	(79 857)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	1 090 866	(79 857)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	(11 116)	11 935
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი	369 033	359 170
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	8297	(2 071)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	366 215	369 033

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მეწველემენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 18 სექტემბერს.

დირექტორი

მალხაზ სალირაშვილი

2025 წლის 18 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

ანა მაკაროვა

2025 წლის 18 სექტემბერი

1. ანგარიშის წარმდგენი პირი

შპს „ეკოპეტროლი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანია“ დაარსდა 2017 წლის 16 მარტს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. მისი იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი, ქიზიყის ქ.40.

კომპანიის მფლობელები არიან:

- ემილ მაჰარამოვ, P2275605 30%
- ორხან ნურიევ, C01119828 20%
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ოპტიმალ ინვესტ გრუპ, 402067936 40%
- მალხაზ საღირაშვილი, 01012003527 10%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საწვავის საბითუმო და საცალო გაყიდვა საქართველოს ტერიტორიაზე. საცალო ქსელი შედგება 24 ბენზინგასამართი, 1 გაზგასამართი და 1 კომბინირებული სადგურისაგან, რომელიც მდებარეობს როგორც თბილისში, ასევე ქვეყნის დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში. ბენზინგასამართი სადგურები კომპანიას იჯარით აქვთ აღებული (22 ცალი) და ფუნქციონირებს „ეკოპეტროლის“ სახით. კომპანიას აქვს აგრეთვე ორი საკუთარი ბენზინგასამართი სადგური და ერთი ნავთობ პროდუქტების საცავი ბაზა.

კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2023 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა, შესაბამისად, 168 და 163 ადამიანს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“მსს ფასს”) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებასა პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის. 2024 წელს კომპანიის მიერ მიღებულმა ზარალმა შეადგინა 517895 ლარი, რაც გამოწვეულია ბაზარზე ნავთობპროდუქტებზე ფასების დაწევამ და შესაბამისად 2023 წლის ბოლოს დაეარაგებული საწვავის შესყიდვის ფასზე დაბალ ფასად გაყიდვამ.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა. შეფასებისას გაითვალისწინეს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ინსტიტუტის მიერ კომპანიის საკუთრებაში არსებული გრძელვადიანი აქტივების დასაკუთრების გარემოება და მისი გამოსყიდვის შესაძლებლობა. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებულია არსებით განუსაზღვრელობასთან.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთის ჯარებმა გადაკვეთეს უკრაინის საზღვარი. მილიონობით უკრაინელმა დატოვა ქვეყანა და საცხოვრებელი. შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ რუსეთს მკაცრი ეკონომიკური სანქციები გამოუცხადა. მოვლენები ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის. კომპანიის საოპერაციო საქმიანობას არ აქვს მნიშვნელოვანი პირდაპირი კავშირი უკრაინასთან, რუსეთსა და ბელორუსიასთან. შესაბამისად მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ომს არ ექნება შესამჩნევი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია საიმედოდ შეფასდეს ის სრული გავლენა, რომელიც ომს შეიძლება ჰქონდეს კომპანიაზე, რადგან გაურკვეველია ომის ზოგად ეკონომიკაზე ზემოქმედების სიდიდე. მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას და მოვლენების განვითარებას.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში

ა) 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის“ „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით“. მოცემული შესწორება იძლევა მითითებას იმის შესახებ, თუ როდის შეიძლება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნულ ცვლილებას არ მოუხდენია

არსებითი გავლენა სააღრიცხვო პოლიტიკასა და განმარტებით შენიშვნებზე. გადავადებული გადასახადი დაკავშირებული ერთი ტრანზაქციიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან (ბასს 12-ის შესწორება).

2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც

აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა პირველადი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის, ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად, ბასს 12.5-ს დაემატა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გათავისუფლება არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოქვითვად დროებით სხვაობებს.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნულ ცვლილებებს არ მოუხდენია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწყვეტილება უკუიჯარის პირობით გაყიდვა ცვლად გადასახდელებთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება. შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადასახდელები“ ან „გადახდილი საიჯარო გადასახდელები“, რომ არ აღიაროს გამყიდველ-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ სარგებლობის უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ბასს 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (შესწორება - ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად, კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებებთან მიმართებაში. შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით. თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს თუ უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, იმ შემთხვევაში თუ საწარმო ვალდებულია შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, თუ საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვა კომპანიის ხელმძღვანელობას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებულ სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16

კომპანიამ თავდაპირველად *ფასს 16 იჯარები* 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა.

ადრე, კომპანია ხელშეკრულების დადებისას განსაზღვრავდა იყო თუ არა ან შეიცავდა თუ არა გარიგება იჯარას ფასიკ 4 როგორ განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა გარიგება იჯარას- ფარგლებში. კომპანია ამჟამად აფასებს არის თუ არა ან შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას იჯარის ახალი განმარტების მიხედვით, როგორც განმარტებულია 19 შენიშვნაში.

ფასს-16-ზე გადასვლისას, კომპანიამ გარიგებების იჯარებად კლასიფიკაციისათვის პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება აირჩია. კომპანიამ ფასს 16 მხოლოდ ადრე იჯარებად კლასიფიცირებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში გამოიყენა. ხელშეკრულებები, რომლებიც არ იყო კლასიფიცირებული იჯარებად ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში არ ყოფილა გადაფასებული იჯარის არსებობაზე ფასს 16-ის ფარგლებში, ანუ იჯარის განმარტება ფასს 16-ის

ფარგლებში გამოყენებულ იქნა მხოლოდ 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დადებულ ან შეცვლილ ხელშეკრულებებზე.

საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებული იჯარები ბასს-17-ის ფარგლებში

როგორც მოიჯარეს, კომპანიას იჯარით აქვს აღებული 36 ავტოგასამართი სადგური. კომპანია 2019 წლამდე იჯარით აღებულ ქონებას ბასს-17-ის ფარგლებში აღიარებდა საოპერაციო იჯარებად. გადასვლისას, პრაქტიკული მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, კომპანიამ იჯარებთან მიმართებაში არ აღიარა აქტივები გამოყენების უფლებით და ვალდებულებები იჯარებისათვის რომელთათვისაც საიჯარო ვადა თავდაპირველი გამოყენების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მთავრდება და შესაბამისად, არ არსებობს არსებითი გავლენა გადასვლის თარიღისთვის 2019 წლის 1 იანვრისთვის აქტივებზე და ვალდებულებებზე და აკუმულირებულ ზარალზე, ასევე არ არსებობს არსებითი სხვაობა ბასს-17-ის და ფასს 16-ის ფარგლებში აღიარებულ იჯარებზე მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში 2018 და 2019 წლებში, შესაბამისად.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხორციელდება გადაფასებული ღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები არ განეკუთვნება ისეთი აქტივების კატეგორიას, რომელთა ღირებულებებიც ხშირად იცვლება. ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან. ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება კომპანიის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები 5%
 მანქანა-დანადგარები 15%-20%
 ოფისის აღჭურვილობა 15%-20%
 ავეჯი და სხვა ინვენტარი 20%
 სხვა ძირითადი საშუალებები 15%-20%
 იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა 15%

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს, გარდა გუდვილისა, აქვს განსაზღვრული ექსპლუატაციის ვადა და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და მინერალური რესურსების მოპოვების ლიცენზიებს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება შემცირებადი ნაშთის მეთოდის საფუძველზე ექსპლუატაციის პერიოდში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი .

კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

	აშშ დოლარი	ევრო	რუსული რუბლი
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,8068	2,9306	0.025405
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,6894	2,9753	0,029916
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.702	2,8844	0.03677

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარისაგან უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიღებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალსო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, ე.წ. ესტონური მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება: 1) დივიდენდის განაწილება, 2) სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის, 3) ხარჯები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, 4) გადახდები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, 5) უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება, 6) წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ. დივიდენდი იბეგრება გადახდის მომენტში, თუ ის ნაწილდება ფიზიკურ პირზე, არაკომერციულ იურიდიულ პირზე, არარეზიდენტზე ან მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ საწარმოზე. დივიდენდი არ იბეგრება იმ შემთხვევაში, თუ ის ნაწილდება საწარმოზე, რომელიც გადასულია დაბეგვრის ახალ მოდელზე. იგივე წესები მოქმედებს მიღებული დივიდენდის ხელახლა განაწილებისას. განაწილებული დივიდენდის დაბეგვრისას მნიშვნელობა არ აქვს მოგების მიღების წელს, თუმცა ორმაგად დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად, საწარმოს უფლება აქვს სრულად ან ნაწილობრივ ჩაითვალოს ადრე დარიცხული და გადახდილი ყოველწლიური მოგების გადასახადი 2008-2016 წლების წმინდა მოგების განაწილებისას.

ავანსები

ავანსები წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. ავანსი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როცა ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თვითონ კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივად აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და აშკარა

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

გახდება რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგებასა ან ზარალში, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები იქნება მიღებული. თუ არის მინიშნება, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურებები არ იქნება მიღებული, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისად აღიარდება გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი წლის მოგებასა ან ზარალში.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. შეძენის დანახარჯების დათვლისას გაანგარიშებული თანხა შემცირდება სავაჭრო დათმობის, სხვადასხვა სახის ფასდათმობისა და სხვა ანალოგიური მუხლების ღირებულებით.

შემოსავლები***შემოსავალი მომსახურების გაწევიდან***

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებების იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება. კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანია მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

2.1. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი, ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

უიმედო ვალდებულებების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისაგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას, ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

ცვლილება საგადასახადო კანონდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის

ხელმძღვანელობას ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიას საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა -3

ძირითადი საშუალებები

ლარში	დაუმთავრებელი შენიშვნა- მშენებლობა	შენიშვნა- ნაგებობა	მანქანა დანადგარები	ძალოვანი, თბოტექნ. და ტურბ. მოწყობ- ები (მე-3 ჯგ.)	რეზერვუარები	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობა	ინვენტარი	სპეც. ინსტრუმენტი	სხვა ავტოტრანსპორტი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამი
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	11 518	951 084	484 251	382 599	26 274	23 197	144 607	154 140	17 921	23 474	523 705	2 742 771
შესყიდვა	32 344		43 687		6 197	7 334	1 302	8 151	5 221		115 678	219 914
გასვლა			31 695				99	1 973	2 243	1 034	11 100	48 144
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია	(43 862)										43 862	-
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	(0)	951 084	496 243	382 599	32 472	30 432	143 936	160 048	22 109	23 474	672 144	2 914 541
შესყიდვა	114 801	133 550	200 972		6 000	1 982	15 183	28 729	525	11 695	70 431	583 869
გასვლა							119	1 335	28	25	10 622	12 129
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია	(114 801)	86 768									28 032	-
2024 წლის ბოლოს მდგომარეობით	(0)	1 171 403	697 215	382 599	38 472	32 295.45	157 783.87	188 749.55	22 609	35 169	759 986	3 486 281
დაგროვილი ცვეთა												
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	201 836	172 772	165 966	14 985	15 847	87 119	95 191	9 260	5 363	212 083	980 421
ცვეთის ხარჯი		76 087	73 608	57 390	4 778	3 073	21 727	27 090	4 231	2 347	88 448	358 778
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა			(8 712)				(31)	(931)	(349)	(342)	(4 827)	(15 191)
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	277 923	237 667	223 356	19 763	18 889	107 915	121 932	13 149	7 711	295 704	1 324 009
ცვეთის ხარჯი		85 278	86 225	57 390	5 540	3 921	20 458	23 562	3 545	2 347	105 646	393 913
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა						(70)	(1 242)	(20)	(17)		(1 255)	(2 604)
2024 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	363 201	323 893	280 745	25 303	22 740	127 131	145 474.39	16 678	10 058	400 095	1 715 318
საბალანსო ღირებულება												
2023 წლის ბოლოს	(0)	673 162	258 576	159 243	12 709	11 543	36 021	38 116	8 959	15 764	376 440	1 590 532
2024 წლის ბოლოს	(0)	808 202	373 322	101 854	13 169	9 555	30 653	43 275	5 931	25 111	359 891	1 770 962

შენიშვნა-4

არამატერიალური აქტივები

პროგრამები	საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება	ჯამი
<u>ლარი</u>		
2022 წლის ბოლოს	35 642	3 119 890
შემოსვლა	-	1 488 284
გასვლა	-	-
2023 წლის ბოლოს	35 642	4 608 174
შემოსვლა	-	0
გასვლა	-	-
2024 წლის ბოლოს	35 642	4 608 174
<u>დაგროვილი ცვეთა</u>		
2022 წლის ბოლოს	11 113	2 433 020
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	3 564	559 945
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია	-	22 393
2023 წლის ბოლოს	14 677	3 015 357
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	3 564	467 061
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია	-	-
2024 წლის ბოლოს	18 241	3 482 417
<u>საბალანსო ღირებულება</u>		
2023 წლის ბოლოს	20 965	1 557 175
2024 წლის ბოლოს	17 401	1 090 115

შენიშვნა-5

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	31.12.2024	31.12.2023
ნაღდი ფული სალაროში ლარებში	10 075	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	356 140	369 033
ს უ ლ:	366 215	369 033

ფულისა და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისათვის.

შენიშვნა-6

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	213 428	366 441
მოთხოვნები მატერიალ. პასუხისმგებელი პირების მიმართ	147 208	273 720
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	144 276	233 013
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	41 381	41 381
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი	10 150	8 896
ს უ ლ:	556 442	923 451

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**შენიშვნა- 7****მარაგები**

ლარში	31.12.2024	31.12.2023
საქონელი	53 937	93 262
საქონელი აგს	1 276 086	1 292 169
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი (ფორმები)	17 655	17 318
დაუმთავრებელი წარმოება და მშენებლობა	-	2 770
სულ:	1 347 678	1 405 520

შენიშვნა- 8**ფინანსური იჯარის ვალდებულებები**

კომპანიას აქვს გაფორმებული ხელშეკრულებები 2წლამდე ვადით, მაგრამ შემდგომ ურთიერშეთანხმების საფუძველზე ხდება ვადის გაგრძელება 1-დან 5წლამდე. კომპანიის მიერ ფინანსური იჯარით აღებული აქტივების მომავალი საიჯარო გადასახდელები შემდეგნაირად არის განაწილებული: მომდევნო ერთი წლის განმავლობაში გადასახდელია 72538ლარი, ხოლო შემდგომ 1092624ლარი.

ფინანსურ იჯარებთან დაკავშირებული მომავალი ფინანსური ხარჯი 147380ლარს შეადგენს.

ფინანსური იჯარის მთლიანი ვალდებულება - მომავალი საიჯარო გადასახდელები	2024	2023
1 წელზე ნაკლები	72 538	416 950.0
1წელზე მეტი 5 წლამდე	1 092 624	1 153 187
ჯამი	1 165 162	1 570 137
ფინანსურ იჯარებზე მომავალი ფინანსური ხარჯი	147 380	122 205

შენიშვნა-9

სესხები	31.12.2024	31.12.2023
სესხი საბანკო დაწესებულებიდან	1 100 000	-
სესხები პარტნიორებისაგან	-	-
ფინანსური იჯარის ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	6 158	10 895
სულ:	1 106 158	10 895

მიღებული სესხების რეკონსილაცია წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სესხები ი/პირებისაგან(მოკლევადიანი)	2024	2023
საწყისი ნაშთი	-	67 550
საპროცენტო ხარჯი	-	2 481
მიღებული სესხი	1 100 000	55 650
ძირი თანხის გადახდა	-	(123 200)
გადახდილი პროცენტი	-	(2 481)
სულ მიღებული სესხი	1 100 000	-

სესხები ფ/პირებისაგან (გრძელვადიანი)	2 024	2 023
საწყისი ნაშთი	40 341	40 530
საპროცენტო ხარჯი	2 098	6 709
მიღებული სესხი	-	-
ძირი თანხის გადახდა	-	-
გადახდილი პროცენტი	(2 098)	(6 709)
გადაფასების ეფექტი	1 761	(189)
სულ მიღებული სესხი	42 102	40 341

შენიშვნა-10

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	31.12.2024	31.12.2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2 267 945	3 210 835
გადასახდელი ხელფასები	-	16 068
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	347 091	607 011
ს უ ლ:	2 615 035	3 833 914

შენიშვნა-11

ამონაგები

ლარი

	31.12.2024	31.12.2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	55 374 375	51 604 522
ს უ ლ:	55 374 375	51 604 522

შენიშვნა-11

ამონაგები

ლარი

	31.12.2024	31.12.2023
შემოსავალი საწვავების რეალიზაციიდან	55 374 375	51 604 522
ს უ ლ:	55 374 375	51 604 522

შენიშვნა-12

თვითღირებულება

ლარი	31.12.2024	31.12.2023
საქონელი	49 796 650	47 653 419
კომუნალური ხარჯი	254 906	293 509
იჯარა	849 970	529 776
სახელფასო ხარჯები	1 839 276	1 808 319
სატრანსპორტო ხარჯი	543 588	561 245
სხვა ხარჯი	577 124	506 029
საიჯარო აქტივების ცვეთა	467 060.56	559 945
ს უ ლ:	54 328 575	51 912 242

შენიშვნა-13

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	31.12.2024	31.12.2023
სოციალური დანარიცხები	35 326	31 749
შრომის ანაზღაურება	26 956	26 962
დაზღვევა	3 001	11 334
საწვავის ხარჯები - გენერატორი	7 223	9 638
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	47 975	46 337
საერთო დანიშნულების ძირ. საშუალებების ცვეთა	397 477	362 343
კომპიუტერის ხარჯი და IT მომსახურება	3 840	3 840
საკანცელარიო ხარჯი	5 199	2 920
სხვა საგადასახადო ხარჯები	18 541	17 649
საბანკო ხარჯები	248 586	210 463
მივლინების ხარჯები (ადმინისტრაციული)	7 319	3 870
წარმომადგენლობითი ხარჯები	10 629	4 851
მიმდინარე რემონტის ხარჯი	4 529	-
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	78 748	13 657
სხვა ხარჯი	20 226	19 490
ს უ ლ:	915 576	765 103

შენიშვნა-14

მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

	31.12.2024	31.12.2023
რეკლამის ხარჯები	-	35
ს უ ლ:	-	35

შენიშვნა-15

სხვა ხარჯები

ლარი	31.12.2024	31.12.2023
ლუქები და პლომბები	13 637	3 600
ტალონების ბეჭდვა	-	2 534
ფასთაშორის სხვაობა	476 116	-
საწარმოო დანიშნულების რემონტის ხარჯები	19 071	16 459
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-	111
ს უ ლ:	508 825	22 703

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა-16

ფინანსური შემოსავალი
ლარი

	31.12.2024	31.12.2023
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	16 889	159
ს უ ლ:	16 889	159

შენიშვნა-17

ფინანსური ხარჯი
ლარი

	31.12.2024	31.12.2023
საპროცენტო ხარჯები	125 673	50 575
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	16 528	7 793
ს უ ლ:	142 201	58 368

18. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორცეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

შენიშვნა- 18

გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	დაუფარავი ნაშთი 31.12.2024	დაუფარავი ნაშთი 31.12.2023	ტრანზაქციის ღირებულება 2024წელი	ტრანზაქციის ღირებულება 2023წელი
ოპერაციები მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფ საწარმოებთან:				
დაუფარავი ნაშთების თანხა:				
სავაჭრო მოთხოვნები	37 454	135	7 129	
სულ მოთხოვნები				
მიწოდებიდან და მომსახურებიდან				
წარმოქმნილი ვალდებულებები	820 459	1 810 925	47 857 272	41 163 884
გადასახდელი სესხი	43 939	40 341	4 155	71 844
შემოსავალი რეალიზაციიდან	-	-	7 129	217 635
საიჯარო შემოსავალი	3 842	9 019	40 062	20 076
იჯარის ხარჯი	15 204.73	9 252	141 971	9 252

19. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას, თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას, კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით, შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით, შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;

ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით,;

საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით, ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

- საპროცენტო რისკი;
- სავალუტო რისკი,

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები
გაცემული სესხები

სულ ფინანსური აქტივები

ფინანსური ვალდებულებები

სესხები
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სულ ფინანსური ვალდებულებები

შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
4	366 215	369 033
5	556 442	923 451
	30 743	10 440
9	953 400	1 302 925
შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
9	1 100 000	51 236
10	2 615 035	3 833 914
	3 715 035	3 885 151

გ) რისკების მართვის სტრუქტურა კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე, კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის, რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად, რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად, კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდურობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

ლიკვიდურობის ცხრილი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის:

	1 წელზე ნაკლები	1დან 5 წლამდე	სულ
ფული და ფულის ექვივალენტი	366 215	-	366 215
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	556 442	-	556 442
აქტივები	922 657	-	922 657
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(2 615 035)		(2 615 035)
მიღებული სესხები	(1 100 000)	(42 102)	(1 142 102)
ფინანსური საიჯარო ვალდებულებები		(1 165 162)	(1 165 162)
ვალდებულებები	(3 715 035)	(1 207 264)	(4 922 299)
ლიკვიდურობის პოზიცია	(2 792 379)	(1 207 264)	(3 999 642)

ლიკვიდურობის ცხრილი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის:

	1 წელზე ნაკლები	1დან 5 წლამდე	სულ
ფული და ფულის ექვივალენტი	369 033	-	369 033
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	923 451	-	923 451
აქტივები	1 292 485	-	1 292 485
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(3 833 914)		(3 833 914)
მიღებული სესხები		(10 895)	(10 895)
ფინანსური საიჯარო ვალდებულებები		(1 570 137)	(1 570 137)
ვალდებულებები	(3 833 914)	(1 581 032)	(5 414 947)
ლიკვიდურობის პოზიცია	(2 541 430)	(1 581 032)	(4 122 462)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე, საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო, კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას აშშ დოლარის ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისათვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ.

31 დეკემბერი 2024 წელი**აშშ დოლარის გავლენა**

	ლარი/აშშ	ლარი/აშშ	დოლარი - 20%
	დოლარი +20%		
მოგება/ზარალი	(83 310)	83 310	

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალეზადი განაკვეთით), ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალეზადი განაკვეთით.

20. იჯარები

კომპანიამ ფასს 16-ი მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით გამოიყენა და მაშასადამე შესაძარისი ინფორმაცია არ არის გადანგარიშებული. კომპანიას განმარტებული აქვს სააღრიცხვო პოლიტიკები, როგორც ფასს 16-ის(მომდინარე პერიოდისათვის) ასევე ბასს 17-ის ფარგლებში(წარმოდგენილი შესაძარისი პერიოდისათვის) იმისათვის, რომ მომხმარებლებმა გაიგონ მიმდინარე პერიოდი, ისევე როგორც შესაძარისი ინფორმაცია და ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში(შენიშვნა 2)

2019 წლიდან გამოყენებული პოლიტიკა

ხელშეკრულების დადებისას, კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. ამის შესაფასებლად კომპანია ფასს 16-ს განმარტებას იყენებს.

წინამდებარე პოლიტიკა გამოიყენება 2019 წლის იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დადებულ ხელშეკრულებებზე. კომპანიამ ფინანსურ იჯარად არ დააკვალიფიცირა ხელშეკრულებები, სადაც საიჯარო გადასახდელი განისაზღვრა ყოველთვიურად მიღებული წმინდა მოგების 50 პროცენტით, მაგრამ არანაკლებ 500დან-1000ლარამდე. ასეთ

შემთხვევაში სტანდარტით 500-1000ლარი განიხილება მინიმალურ საიჯარო გადასახადებად, ხოლო დანარჩელი იქნება პირობითი გადასახდელი.

„მს ფასს“-ს თანახმად იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება, თუ:

ა) იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარეს გადაეცემა აქტივის საკუთრების უფლება იჯარის ვადის დამთავრების შემდეგ;

ბ) მოიჯარეს უფლება აქვს, აქტივი შეიძინოს ისეთი ფასით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად დაბალი იქნება აქტივის რეალურ ღირებულებაზე, რომელიც მას ექნება უფლების გამოყენების მომენტში, ხოლო იჯარის დასაწყისისათვის არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ ეს უფლება გამოყენებული იქნება;

გ) იჯარის ვადა მოიცავს აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ძირითად ნაწილს, მაშინაც კი, როდესაც საკუთრების უფლების გადაცემა არ ხდება;

დ) იჯარის დასაწყისისათვის მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება შეადგენს სულ მცირე საიჯარო აქტივის პრაქტიკულად მთლიან რეალურ ღირებულებას; და

ე) იჯარით გაცემული აქტივები იმდენად სპეციფიკურია, რომ მხოლოდ ამ მოიჯარეს შეუძლია მათი გამოყენება, არსებითი მოდიფიკაციის გარეშე.

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირების შედეგად მიღებული თანხა არ წარმოადგენს ობიექტის პრაქტიკულად მთლიან რეალურ ღირებულებას. ამგვარი საიჯარო ხელშეკრულებები აღიარებულია საოპერაციო ხარჯად.

21. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები გაუთვალისწინებელი გარემოებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები, საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული, ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

22. სასამართლო პროცესები

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული, მენეჯმენტის შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლოა ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულა. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია მიმდინარე სასამართლო დავა:

1. მოსარჩელე:

შპს „ეკოპეტროლი“

მოპასუხე:

შემოსავლების სამსახური

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

შემოსავლების სამსახურის ანალიტიკური დეპარტამენტი

დავების განმხილველი ორგანო - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
დავის არსის მოკლე მიმოხილვა- შემასავლების სამსახური ანალიტიკური დეპარტამენტის 2019 წლის 7
ივნისის #011-3524 სადავო ბრძანების საფუძველზე შპს „ბ.ზ. გრუპ“-ს საგადახდო დავალიანების
გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების მიზნით შპს „ეკოპეტროლი“-ს საკუთრებაში არსებულ
საწვავზე ყადაღის დადება იმ ობიექტზე , სადაც ადგილი ჰქონდა შპს „ბ.ზ. გრუპი“-გან შეძენილი საწვავის
შეტანას.

სავარაუდო შედეგი - წინამდებარე საქმეზე, მოსალოდნელია დავის შპს „ეკოპეტროლი“-ს სასარგებლოდ
გადაწყვეტა.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ ჰქონია ადგილი მნიშვნელოვან მაკორექტირებელ და არამაკორექტირებელ
მოვლენებს.

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი:

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა, წარმადობა და მდგომარეობა3
2. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ.....4
3. ორგანიზაციული სტრუქტურა.....5
4. საკადრო პოლიტიკა.....6
5. პროდუქტი.....6
6. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები და გეგმების მიმოხილვა..6
7. კომპანიის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები.....7
8. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ.....7
9. კომპანიის მთავარი რისკები და მართვის მექანიზმები.....7-8

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა, წარმადობა და მდგომარეობა

შპს „ეკოპეტროლი“ (შემდგომში „კომპანია“) თავისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მიხედვით წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 16 მარტს 2017 წელს. მისი იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, თბილისი, იასანი-სამგორის რ-ნი, ქიზიყის ქ.40.

კომპანიის მფლობელები არიან:

- ემილ მაჰარამოვ, P2275605 30%
- ორხან ნურიევ, C01119828 20%
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ოპტიმალ ინვესტ გრუპ, 402067936 40%
- მალხაზ სადირაშვილი, 01012003527 10%.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საწვავის საბითუმო და საცალო გაყიდვა საქართველოს ტერიტორიაზე. აქვს საკუთარი ნავთობბაზა. საცალო ქსელი შედგება 24 ავტოგასამართი სადგურისაგან, 1 კომბინირებული ობიექტისგან და 1 გაზგასამართ სადგურისაგან, რომელიც მდებარეობს როგორც თბილისში, ასევე ქვეყნის დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში. ბენზინგასამართი სადგურები კომპანიას იჯარით აქვთ აღებული და ფუნქციონირებს „ეკოპეტროლი“-ს სახით. ასევე შპს „ეკოპეტროლი“ ოპერირებს კლიენტთა მომსახურების ცენტრებით. კომპანია ამ ეტაპზე არის ინდუსტრიის ერთ-ერთი საშუალო სიდიდის მოთამაშე მომართულია ქსელის კიდევ უფრო გადიდებისკენ.

ინფრასტრუქტურა	იჯარა	საკუთრება	სულ
ავტო გასამართი სადგურები	22	2	24
ავტო გაზ გასამართი სადგური	1	-	1
კომბინირებული ობიექტი	1	-	1
ნავთობბაზა	-	1	1
სერვის ცენტრი	-	5	5

კომპანია მუდმივად ზრუნავს საწარმო პროცესების ოპტიმიზაციაზე მომსახურების ეფექტურობის ზრდის მიზნით მომხმარებლებთან კეთილსინდისიერი და მათი მოთხოვნების მაქსიმალურად მოკლე დროში დაკმაყოფილების მიმართულებით. შპს „ეკოპეტროლი“ საქმიანობას წარმართავს თანამშრომლებთან, მომხმარებლებთან, პარტნიორებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან ღია, პატიოსანი და სამართლიანი პრინციპით.

2. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანია 2024 წელს ოპერირებდა 26 ობიექტით თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით:

დასავლეთ საქართველოში - 7 აგს;

შიდა ქართლში - 3 აგს;

ქვემო ქართლში - 5 აგს;

აღმოსავლეთ საქართველოში - 5 აგს;

მცხეთა თიანეთი - 2 აგს;


თბილისში - 3 აგს და 1 აგგს.

გარდა ამისა კომპანიას მართვაში აქვს ნავთობ პროდუქტების საბითუმო საცავი და სათაო ოფისი.

3. ორგანიზაციული სტრუქტურა

შპს „ეკოპეტროლ“-ს მართავს დირექტორი, რომელიც ანგარიშვალდებულია ინვესტორების წინაშე.

კომპანიის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს ნავთობპროდუქტებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა. კომპანიის საქმიანობა რეგულირდება მხოლოდ სამთავრობო დადგენილებებით და ზოგადი კანონმდებლობით, რომელიც ითვალისწინებს უსაფრთხოებისა და სახანძრო წესების დაცვას. შპს „ეკოპეტროლი“ არ ფლობს ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.



4. საკადრო პოლიტიკა

კომპანიის წარმატებულ მუშაობაზე ყოველდღიურად ზრუნავს დაახლოებით 163 თანამშრომელი. კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე. იგი ხელს უწყობს თანამშრომლებს კვალიფიკაციის ამაღლებაში. შემუშავებულია ზენორმატიული სამუშაო საათების ანაზღაურდება დამატებითი ხელფასით. კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრიორიტეტულია თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა. კომპანია უზრუნველყოფს თავის თანამშრომლებს ჯანმრთელობის დაზღვევით.

5. პროდუქტი

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგ პროდუქტს - პრემიუმი, ევრო რეგულარი, ევროდიზელი, დიზელი, CNG და LPG.

6. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები და გეგმების მიმოხილვა

კომპანიის განვითარების სტრატეგია კონცენტრირებულია მისი საცალო ქსელის განვითარებაზე.

კომპანია გეგმავს ავტოგასამართი სადგურების კომპლექსურ სადგურებად გადაკეთებას და მოქნილ ავტომატიზაციას, რათა კიდევ უფრო მიმზედველი, ხელსაყრელი და მარტივი გახდეს მომხმარებლებისთვის, ასევე კომპანია მუშაობს თვითმომსახურეობის ობიექტების დანერგვაზე.

2024 წლიდან კომპანამ დაიწყო ავტოგასამართი სადგურების განახლება, მოდერნიზირება და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა.

7. კომპანიის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები
(ქართულ ლარში)

2023 წელი			
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	შემოსავალი	აქტივების ჯამური ღირებულება	საოპერაციო მოგება/ზარალი
168	51 604 522	5 886 412	- 1 122 311
2024 წელი			
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	შემოსავალი	აქტივების ჯამური ღირებულება	საოპერაციო მოგება/ზარალი
163	55 374 375	5 188 851	- 517 895

8. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

2024 წელს კომპანიის მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა 55,4 მილიონი ლარი, რაც 2023 წელთან შედარებით 7,3% -ით მეტია.

2024 წლის ბოლოს კომპანიის მთლიანი აქტივების ღირებულებამ შეადგინა 5,19 მილიონი ლარი, რაც 11,8%-ით ნაკლებია ვიდრე 2023 წლის ბოლოს.

საოპერაციო მოგება/ზარალი:

-1.12 მლნ → -0.52 მლნ. ზარალი შემცირდა დაახლოებით 55%, რაც სერიოზული გაუმჯობესებაა.

9. კომპანიის მთავარი რისკები და მართვის მექანიზმები

კომპანიის საქმიანობის მნიშვნელოვანი რისკია ლარის კურსის მერყეობა დოლართან მიმართებაში, ვინაიდან კომპანია საქონელს ყიდულობს იმპორტიორი კომპანიებისგან, რომლებიც დამოკიდებული არიან საერთაშორისო საწვავის ფასზე, რომელიც ფიქსირდება დოლარში, ხოლო შესყიდვა ლარში. ამასთან უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მაღალი დონის კონკურენცია, რომელსაც ქმნიან სხვა ბრენდული და არაბრენდული ქსელები. ბაზარზე წარმოდგენილია როგორც ბრენდული, ასევე არაბრენდული ავტოგასამართი და გაზგასამართი სადგურები. კონკურენცია მიმდინარეობს საფასო სეგმენტში ბრენდულ სადგურებთან მიმართებაში, ხოლო საფასო და მომსახურების სეგმენტში არაბრენდულ სადგურებთან მიმართებაში. შესაბამისად, კომპანიაში შექმნილია სამუშაო გუნდი, რომელიც რეგულარულად განიხილავს კონკურენტების საფასო პოლიტიკას, კორპორატიული რეალიზაციის პირობებს, ფასდაკლებებს და ახდენს შესაბამის რეაგირებას. რეაგირება ასევე ხდება არსებული მომსახურებების გაუმჯობესების მიმართებაში, რათა მომხმარებლისთვის მისაღები და სასურველი იყოს პროდუქტების შეძენა. საოპერაციო რისკების მინიმიზაციის მიზნით კომპანიაში ფუნქციონირებს მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც მუდმივ რეჟიმში ახდენს კომპანიის ბაზაში, ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავის ნაშთების,

ნაღდი ფულის და სხვა მატერიალური ფასეულობების კონტროლს. ჟურდობის, ძარცვის და თაღლითობის აცილების მიზნით ყველა ავტომატური სადგური აღჭურვილია ვიდეოკამერით. ასევე ყველა ობიექტზე განთავსდა დაცვის სისტემის ღილაკები და ჯიბის მართვის ღილაკი. საწვავის სვეტზე დამატებით დამონტაჟებულია მონიტორინგი სამეთვალყურეო ვიდეოკამერებით. საწვავის გაფრქვევის მონიტორინგის და საკანონმდებლო ნორმების, სახელმწიფო სტანდარტებისა და მოთხოვნების დაცვის მიზნით სადგურებზე წელიწადში ერთხელ ხდება ფაქტიური გაფრქვევების მონიტორინგი. შესაბამისი დოკუმენტი იგზავნება გარემოს დაცვის სააგენტოში ელექტრონული ფორმით.

ასევე ჩვენი კომპანია ზრუნავს როგორც საკუთარ ქონებაზე, ასევე მესამე პირების წინაშე კასუხისმგებლობაზე. ვთანამშრომლობთ სადაზღვეო კომპანიასთან - „ალდაგი“, სადაც ვაზღვევთ კომპანიის ქონებას და ასევე მესამე პირების წინაშე სამოქალაქო კასუხისმგებლობას.

დირექტორი: მალხაზ საღირაშვილი

თარიღი: სექტემბერი 2025

